ვიზუალური კომუნიკაცია

რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი

www.gipa.ge

af.gipa.ge

unlock your creativity

ხელოვნების ბაკალავრი ვიზუალურ კომუნიკაციებში

180 კრედიტი

დღევანდელ მსოფლიოში, მედიის მრავალფეროვნებასთან ერთად, ეფექტური ვიზუალური კომუნიკაცია ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და გავრცელებული ფორმაა.



ხანგრძლივობა:
3 წელი

ენა:
ქართული

მოცულობა:
180 კრედიტი

შენობა:
ბროსეს 2

კრეატიული ინდუსტრია უკიდეგანო შემოქმედებითი სამყაროა, ეს შენთვის-გაბედული მეოცნებისთვისაა, სადაც ფანტაზიას არ აქვს საზღვრები, სადაც ყოველი შტრიხით, ყოველი დაწერილი სიტყვით, ყოველი ჩანახატით და კადრით შეგიძლია გააზიარო იდეა, რომელსაც აქვს ძალა შეცვალოს სამყარო. ეს არის მოედანი თამამი, ვნებიანი, უშიშარი ინდივიდებისთვის, ეს არის მამოძრავებელი ძალა, რომელიც ახალი სიმაღლეებისკენ გიბიძგებს.

UNLOCK



BOOTCAMP

PLAYGROUND

SCHOLARSHIP



AGENCY DAY

სასწავლო კურსების აღწერა

პროგრამა ვითარდება მარტივიდან
რთულისკენ და მოიცავს სწავლების 3 ეტაპს:

პირველი
ეტაპი

(I-II სემესტრი)

სავალდებულო საფუძვლები

შესავალი ნაწილი გიბიძგებს შეიმუშავო ვიზუალური ექსპერიმენტული მიდგომა. აითვისო კომუნიკაციის უნარები, თანამედროვე ვიზუალური კომუნიკაციის პოტენციალი, გამოსახულების შექმნის ხერხები შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით, მთელი რიგი კონკრეტული თემების საშუალებით. საველე ვიზიტები მუზეუმებში, გალერეებში და ფესტივალებზე დაგეხმარება მიღებული ცოდნის გააზრებაში.

საბა ლალიაშვილი

ვიკა გასანოვა

ანა გოგნაძე

დავით ჩაფიძე

მსოფლიო ხელოვნება
4 კრედიტი

კურსის ფარგლებში განიხილება სახვითი ხელოვნება, ქანდაკება და არქიტექტურის მსოფლიო შედევრები და ტენდენციები, ყველა მნიშვნელოვანი მიმდინარეობა, მოვლენა და ფაქტი, მსოფლიო ხელოვნების გავლენა თანამედროვე ტენდენციებზე.

ვიზუალური ენა 1
4 კრედიტი

კურსი იძლევა შემოქმედებითი აზროვნების/იდეის განვითარებისა და ვიზუალური ექსპერიმენტების შესაძლებლობას. ვიზუალური ფორმებისა და განხორციელებისათვის სხვადასხვა მედიუმების გამოყენებასა და მულტიმედიურ მიდგომებს ჩანახატიდან და ფოტოგრაფიიდან მოძრავ გამოსახულებებამდე.

ციფრული ფოტოგრაფია
4 კრედიტი

კურსი უზრუნველყოფს ფოტო გადაღების ფუნდამენტური საკითხების გააზრებას. კრეატიული იდეების იმპლემენტაცია ფოტოგრაფიული ჟანრების შესწავლით, სადაც აქცენტი კეთდება კრეატიული გამოსახულებით მულტიმედიური ფოტო პროექტების შექმნაზე.

ხატვა
4 კრედიტი

კურსი ფოკუსირებულია კომპოზიციის აგების, შუქ-ჩრდილებით მუშაობის, პერსპექტივის ელემენტებით ექსტერიერისა და ინტერიერის გადმოცემის, ადამიანის ფიგურის აგების და მოძრაობის, კადრირების (storyboarding) ვიზუალურად გადმოცემის ხერხების შესწავლაზე.

ADOBE LAB 1
3 კრედიტი

ციფრული გამოსახულება Adobe Photoshop
მოძრავი გამოსახულება Adobe Premier Pro

ვიზუალური თხრობა (D&AD)
4 კრედიტი

კურსი ავითარებს ვიზუალური თხრობის უნარებს, ვიზუალური ენით, გასაგები, საინტერესო და რელევანტური კომუნიკაციის წარმოებისათვის, “ურთიერთობის დამყარება” აუდიტორიასთან.

ექსპერიმენტული ვიდეო არტი
4 კრედიტი

კურსი მოიცავს შემოქმედებით ძიებებსა და ექსპერიმენტულ მიდგომებს ვიდეო ხელოვნებაში. საკუთარი ექსპერიმენტული ხედვის განვითარებას მრავალმხრივი მაგალითების, ვორქშოპების თუ პრაქტიკის მეშვეობით.

კომუნიკაციის უნარები 1 აკადემიური და კონცეფციის წერა
3 კრედიტი

კურსი უზრუნველყოფს წერილობითი კომუნიკაციის სხვადასხვა ჟანრისა და მიმართულების გააზრებას, ტექსტის დამუშავებისა და შექმნის სტრატეგიებს, სხვადასხვა ხერხების გამოყენებით აკადემიური ნაშრომისა და მხატვრული ტექსტის შექმნის პრინციპებს.

თანამედროვე ხელოვნება
4 კრედიტი

კურსი ფოკუსირებულია თანამედროვე მხატვრული პრაქტიკების კონტექსტის და სტრუქტურის იმ გზების გაცნობაზე, რომლის საშუალებითაც ხელოვნება იკავებს მოწინავე პოზიციებს - სახელმწიფოს პოლიტიკური იდეოლოგიის და კულტურის იდენტობის კონსტრუირების თუ დეკონსტრუქციის პროცესში.

ADOBE LAB 2
4 კრედიტი

ვექტორული გამოსახულება Adobe Illustrator
მოძრავი გრაფიკა Adobe After Effect

ვიზუალური ენა 2
4 კრედიტი

კურსის ფარგლებში განიხილება ვიზუალური ენის განვითარებადი სტილი და ესთეტიკა, მისი კავშირი პოლიტიკასთან, კომერციასთან, სოციალურ ზნეობებთან, ტექნოლოგიასთან, პოპ კულტურასთან და მათი გამოყენება თანამედროვე ვიზუალურ საკომუნიკაციო ენაში.

გრაფიკული დიზაინი თეორია და პრაქტიკა
4 კრედიტი

კურსი მოიცავს თეორიებსა და შესრულების შემოქმედებით ტექნიკებს, სემიოტიკის, როგორც უნივერსალური საკომუნიკაციო ნიშნების, სიმბოლოების, ლოგოს დიზაინსა და ბრენდის კრეატიული შეფუთვის იდეის ფორმირებისთვის.

ტიპოგრაფიის ხელოვნება
4 კრედიტი

კურსი შეასწავლის ტიპოგრაფიის ისტორიას, თეორიასა და მისი გამოყენების გზებს შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების განვითარებისათვის, ტექსტური ვიზუალური კომუნიკაციის სწორად აღქმისა და შრიფტის დიზაინის სპეციფიკის გასაანალიზებლად.

სტრატეგიული ბრენდინგი
4 კრედიტი

კურსი ასწავლის, თუ როგორ პოზიციონირებენ ბრენდები გლობალურ და ლოკალურ სივრცეში, ბრენდის დაპირება და მიზნები, ბრენდის ღირებულებები, პიროვნება, ხმის ტონი და მათი განვითარების პრინციპები ვიზუალურ კონტექსტში.

ვიზუალური ბრენდინგი
4 კრედიტი

კურსი მოიცავს ფართო სპექტრს თემატური კვლევების ანალიზითა და ვიზუალური იდენტობის გააზრებით, გამორჩეული ვიზუალიზაციისთვის იდეების გენერირებიდან, ბრიფის გააზრებიდან ბრენდის სახელმძღვანელოს შექმნამდე.

კომუნიკაციების უნარები 2 პრეზენტაცია და პერფორმანსი
3 კრედიტი

კურსი ფოკუსირებულია პრეზენტაციის თანამედროვე სტანდარტების, ნორმებისა და ტერმინოლოგიის კრეატიულ სფეროში წარმატების მისაღწევად კრიტიკულად მნიშვნელოვანი კომპეტენციის, კრეატიული იდეის წარდგენის მეთოდების გამომუშავებაზე.

წარმატებისკენ მიმავალი გზა გამოწვევების გარეშე არ არის. ის მოითხოვს ერთგულებას, გამძლეობას და სრულყოფილებისკენ სწრაფვას. ეს მაშინ ხდება, როცა მარცხს აღიქვამ ზრდის საფეხურად, უკუსვლას დაბრუნების შესაძლებლობად, კრიტიკას გაუმჯობესების საშუალებად.

მეორე
ეტაპი

(III-IV სემესტრი)

სავალდებულო პროფესიონალური

გამოწვევა, სადაც სტუდენტები ავითარებენ სტრატეგიებს, ვიზუალურ გრაფიკულ, ციფრულ, ვიდეო, ინტერაქტიულ კონტენტს კომერციული და არაკომერციული პროდუქტების, სერვისების ან ბრენდების ღირებულებების/ფასეულობების შესაბამისად, სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების და ტექნოლოგიების გამოყენებით.



თამარა მურვანიძე

დავით წიკლაური



სანდრო ალექსიძე

ანა ნინიძე

კრეატიული კომუნიკაცია 1
თანამედროვე ხელოვნებიდან რეკლამამდე
4 კრედიტი

კურსის ფარგლებში განიხილება რეკლამის და თანამედროვე ხელოვნების კავშირი კონსუმერიზმის, კულტურის, ისტორიის და ეკონომიკის კონტექსტში. ვიზუალური კომუნიკაციის თანამედროვე თეორიებზე დაყრდნობით.

ADOBE ADVANCED
4 კრედიტი

კურსი ავითარებს ვიზუალური თხრობის უნარებს, ვიზუალური ენით, გასაგები, საინტერესო და რელევანტური კომუნიკაციის წარმოებისათვის, “ურთიერთობის დამყარება” აუდიტორიასთან.

არტ დირექტორი
4 კრედიტი

კურსი უზრუნველყოფს არტ დირექტორის როლის, დიზაინისა და ტექნიკურ-ტექნოლოგიური უნარების გაძლიერებას, საკუთარი კრეატიული სტილის ჩამოყალიბებისა და ვიზუალური მესიჯების შესაქმნელად.

ქოფირაითერი
3 კრედიტი

კურსი ფოკუსირებულია ზემოქმედებითი წერის პრინციპების, “ნეიმინგის”, ტექსტის, კომერციული კომუნიკაციის ყველაზე აქტუალური მედიუმებისთვის სხვადასხვა “ქოფის” ტექნიკების გამომუშავებაზე.

ფოტოს რედაქტირება
რეტუში და მანიპულაცია
3 კრედიტი

კურსის ფარგლებში განიხილება მაღალი ხარისხის იმიჯების, კომპოზიციის, დეტალების ხელით ხატვის, ფოტოს და ხელით შექმნილი ელემენტების კომბინირების და დამუშავების ტექნიკები.

მარკეტინგის გარემო და ტრენდები
3 კრედიტი

კურსი ავითარებს ანალიტიკური აზროვნების უნარებს, ინდსუტრიებში მოქმედი კომპანიების მარკეტინგული სტრატეგიიების შესწავლით, მარკეტინგული გამოწვევების დასაძლევად პრობლემის გადაჭრის უნარების მეშვეობით.

UX/UI დიზაინი
4 კრედიტი

კურსი ასწავლის სამომხმარებლო გრაფიკული ინტერფეისებსა და სამომხმარებლო გამოცდილებას ბრენდის ან პროდუქტის შესაბამისად, ვებ, დესქთოპ და მობილური პლატფორმებისთვის ვიზუალური ინტერფეისების შექმნის, ანალიზის, ტესტირებისა და გაუმჯობესების, ოპტიმიზირებული და აქტუალური სამომხმარებლო ინტერფეისები შექმნას.

ინოვაცია და კიბერ კულტურა
4 კრედიტი

კურსი მოიცავს იმ მეთოდების, ინსტრუმენტებისა და სტრატეგიების სწავლებას, სტრუქტურას და დინამიკას, სოციალური ქსელის პლატფორმებს, ვირტუალური რეალობის გარემოს, ბლოგებს და ონლაინ თამაშებს, 4D დიზაინის პრინციპებს, ხელოვნური ინტელექტის გავლენას დღევანდელობაზე.

კრეატიული კომუნიკაცია 2
მუნჯი კინოდან რეკლამამდე
4 კრედიტი

კურსი ფოკუსირებულია კინოსა და რეკლამის თანაკვეთის წერტილების, ასწლიანი ისტორიის და ევოლუციის გააზრებასა და ეფექტური ვიზუალური ნარატივების შესაქმნის პრინციპების ცოდნაზე სარეკლამო კამპანიების წარმოებაში.

2D/3D მოძრავი გრაფიკა და დიზაინი
4 კრედიტი

კურსის ფარგლებში განიხილება ანიმაციის ფუნდამენტური პრინციპები, სხვადასხვა პროგრამული ინსტრუმენტებით ანიმაციური პროდუქტის, ანიმაციური კონტენტის შექმნა.

არტ დრექტორი 2
4 კრედიტი

კურსი მოიცავს სხვადასხვა ვიზუალური ფორმების გამოყენებით სარეკლამო კამპანიების, როგორც კომერციული, ასევე არაკომერციული პროდუქტების შექმნას, ვიდეო რგოლების და იდეის იმპლემენტაციის მეთოდების, სხვადასხვა შემოქმედებითი ხერხების შესწავლითა და ანალიზით.

ქოფირაითერი
3 კრედიტი

კურსი ახელოვნებს ციფრული და ვიდეო ფორმატებისთვის დამაჯერებელ, შემოქმედებით, ზემოქმედებით წერაში. როგორ უნდა შექმნა მიმზიდველი და დასამახსოვრებელი კომერციული ტექსტი.

ამბის თხრობა და სარეკლამო ვიდეოს წარმოება
4 კრედიტი

კურსი ასწავლის კომერციულ ვიდეო წარმოების თავისებურებას, ამბის მოთხრობის, კადრების, აუდიოს, ვიდეო პროექტის ორგანიზებისა და რედაქტირების საკითხებს.

საკომუნიკაციო სტრატეგია
4 კრედიტი

კურსი ასწავლის სარეკლამო კომუნიკაციის შემუშავებას სტრატეგიაზე დაყრდნობით, სრულ პროცესს კლიენტის დავალების მიღებიდან - შესრულებული სამუშაოს შეფასებამდე. გამართული სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბებას.

სარეკლამო არხები და მედია
3 კრედიტი

კურსი ასწავლის კამპანიების წარმოებას სხვადასხვა ციფრულ არხში. მიზნის მისაღწევად, სარეკლამო სტრატეგის და სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრას, ბიუჯეტის ოპტიმიზაციას, პლატფორმების და კამპანიების ეფექტურობის გაზომვას, რეპორტინგს.

შემოქმედებითი ციფრული პროექტი
4 კრედიტი

კურსი მოიცს აქტივობების ფართო სპექტრს (ხელოვნების ხერხები, მედია და ტექნოლოგიების გამოყენება), როგორიცაა ვებ პროდუქტის, ინფორმაციული ან ინტერაქტიული საიტის იდეის გენერირებისა და შექმნის მეთოდოლოგიასა და ხერხებს.

შენი ემოციური ისტორიები იტყვის სათქმელს, ყოველი პროექტი, ყოველი თანამშრომლობა იძლევა შანსს ისწავლო, განვითარდე, დააფიქრო, შეცვალო, შექმნა ახალი პერსპექტივები, ინოვაციური მიდგომები. ეს არის ტილო, რომელზეც დახატავ შენს ოცნებებს, გრანდიოზულს თუ მოკრძალებულს, სადაც შენი უნიკალური შემოქმედებითი პოტენციალი რეალიზდება.

მესამე
ეტაპი

(V-VI სემესტრი)

დასკვნითი ფაზა, როდესაც სტუდენტები მუშაობენ რეალურ პროექტებზე/ბრიფებზე, რომლებიც შემუშავებულია ჩვენს პარტნიორ კომპანიებთან ერთად. ამ ეტაპზე სტუდენტები გამოხატავენ საკუთარ შემოქმედებით ხედვას, როგორც შემოქმედებითი ლიდერები (Art Director) (23 კრედიტი). ამავე დროს, ქმნიან პროფესიონალურ პორტფოლიოს, გაივლიან სავალდებულო სტაჟირებას პროგრამას პარტნიორ (არა მარტო) სააგენტოებში და სტაჟირების პროცესში იმუშავებენ პერსონალურ პროექტზე (პრაქტიკული კომპონენტი 10 კრედიტი).

ნატალია ტოფაძე

სანდრო ლალიაშვილი

ნიკოლ ბელსკაია

ლიზა ღლონტი

კრეატიულობა
Advanced
5 კრედიტი

კურსის ფარგლებში განიხილება კრეატიული ხელსაწყოები და მათი გამოყენების პრინციპები. შემოქმედებითი მუშაობისთვის უფრო ფართო კონცეფციების შესწავლასთან ერთად, დაკვირვების, წარმოსახვისა და აბსტრაქციის გამოსაყენებლად საჭირო უნარები. კონცეფციის ფორმირების პროცესი და ანალოგიების გამოყენება, ასევე ემოციური ინსტრუმენტების გააზრება, როგორიცაა ესთეტიკა და თანაგრძნობა.

ბრენდის ვიზუალური კომუნიკაცია
Advanced
5 კრედიტი

კურსი კვეთს დისციპლინების ფართო სპექტრს ბრენდებთან მიმართებაში, როგორიცაა ბრენდინგი, დიზაინი, სოციალური კომუნიკაცია, ფოტოგრაფია და ილუსტრაცია, მომხმარებლის ინტერფეისის დიზაინი, ინფორმაციის და გამოცდილების დიზაინი, ინდუსტრიის სტანდარტული და არასტანდარტული მიდგომებით, პრობლემების გადაჭრის გზებით, ბრენდებისთვის ეფექტური ვიზუალური და სტრატეგიული გადაწყვეტილებების შესაქმნელად.

კრეატიული დირექტორი
5 კრედიტი

კურსი მიზნად ისახავს სტუდენტების მომზადებას სარეკლამო სფეროში წამყვანი პოზიციებისთვის, მულტიმედიურ და სოციალურ გარემოში, ორგანიზაციული უნარების დახვეწას შემოქმედებითი პროცესისთვის, რათა შექმნან ძლიერი კონცეპტუალური და ვიზუალური ზემოქმედებითი კონცეფციები, განავითარონ ანალიზისა და დიზაინის გამოცდილება ინოვაციური ფორმატებისთვის.

პორტფოლიოს განვითარება
4 კრედიტი

კურსის ფარგლებში სტუდენტი შეარჩევს და დაამუშავებს პროექტებს პორტფოლიოსთვის, განსაზღვრავს საკუთარ პოზიციონირებას. შეიმუშავებს პორტფოლიოს იდეას, შექმნის საკუთარი პლატფორმის კონცეფციას და განახორციელებს მას.
კურსი ფოკუსირებულია დიზაინის უახლეს ტენდენციებზე, ინსტრუმენტებსა და ტექნიკაზე, რომლებიც გამოიყენება ინდუსტრიაში, პროფესიულ სტანდარტებზე და ინდუსტრიის მოლოდინებზე.

BOOT CAMP/ლიდერობა
4 კრედიტი

კურსის მიზანია სტუდენტებს განუვითაროს ლიდერისთვის აუცილებელი კომპეტენციები, რათა მათ შეძლონ ლიდერული პოტენციალის აღმოჩენა და განვითარება, წამყვანი ბიზნეს კომპანიის ლიდერების გამოცდილების გაზიარება, საკუთარი იდეების მარტივ, გასაგებ, აუდიტორიაზე მორგებულ ფორმატში გადაცემის უნარების გაუმჯობესება.

პრაქტიკული კომპონენტი
სტაჟირება და პერსონალური პროექტი
10 კრედიტი

სემესტრული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში სტუდენტი გაივლის სტაჟირებას პარტნიორ კრეატიულ სააგენტოში პორტფოლიოს განხილვის და მიღებული შეთავაზების საფუძველზე. სტაჟირების პროცესში ქმნის პერსონალურ პროექტს სააგენტოს შემოქმედებითი გუნდის მენტორობით.

შემოქმედებითი ინდუსტრია არ არის მხოლოდ კარიერა, ეს არის მოწოდება, ეს არის გამოწვევა, ეს არის ჯადოქრობის სამყარო, ეს მსოფლიო სცენაა, რომელიც შენ გელოდება.

არჩევითი მოდულები

(20 კრედიტი)

თავისუფალი კრედიტებს სტუდენტი აგროვებს მისთვის საინტერესო საგნების არჩევით (სწავლების მესამე ეტაპზე), როგორც პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული არჩევითი საგნებით ან მოდულებით (12 კრედიტი), ასევე, უნივერსიტეტის მასშტაბით სხვა საბაკალავრო პროგრამების მიერ შეთავაზებული საგნებით (8 თავისუფალი კრედიტი) ან საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ფარგლებში. ინგლისურის FCE CAE დონის სტუდენტებისათვის, ვინც გათავისუფლდება ენის სასწავლო კურსებიდან, მათ შესაბამისი 8 კრედიტი უნდა დააგროვონ თავისუფალი არჩევითი საგნებით:

- **ანიმაცია**
- **ბრენდის კომუნიკაცია**
- **გრაფიკული დიზაინი**
- **სარეკლამო ფოტო და ვიდეო წარმოება**
- **ციფრული დიზაინი**
- **Start Up Idea Hub**

გია ტყემალაძე, სალომე კეჟერაშვილი

ანა ნინიძე

დანიელ გრიგორიანი



ნიკოლოზ რიჟამაძე

პროფილური გაცვლითი პროგრამები

Mainz University of Applied Sciences

Mainz University of Applied Sciences არის 1971 წელს დაარსებული უნივერსიტეტი, რომელიც მდებარეობს გერმანიაში, მაინცში. Mainz-ის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი შედგება სამი ფაკულტეტისგან: ტექნოლოგიური სკოლა, დიზაინის სკოლა და ბიზნესის სკოლა. სწავლის ყველა დარგის საერთო მახასიათებელია უნივერსიტეტის პრაქტიკული ორიენტაცია, სწავლის მოკლე პერიოდები და საერთაშორისო ორიენტირებული კურსები.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმსა და სტუდენტთა გაცვლის შესახებ შეთანხმებას ხელი მოეწერა 2023 წელს. ზემოაღნიშნული შეთანხმების საფუძველზე, ორ უნივერსიტეტს შორის დაინერგა სტუდენტების გაცვლითი პროგრამა, რომლის ფარგლებში, ყოველწლიურად შესაძლებელია 4-4 სტუდენტის გაგზავნა პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლების სრული სემესტრის გასავლელად.

AP University College Antwerp (Belgium, Antwerp)

უნივერსიტეტთან ევროკავშირის დაფინანსებით ხორციელდება ”Erasmus +„ პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს სრულად უფინანსდებათ ერთი სემესტრის გავლასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის მგზავრობა, ცხოვრება და ყოველდღიური ხარჯები.

Darmstadt University of Applied Sciences

დარმშტადტის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტი, იგივე h_da, არის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტი, რომელიც მდებარეობს ქ. დარმშტადტში, გერმანია. h_da არის IT კლასტერის Rhine-Main-Neckar, "გერმანიის სილიკონის ველი" და ATHENE, IT წევრი, რომელიც უსაფრთხოების უდიდესი კვლევითი ინსტიტუტია ევროპაში.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმსა და სტუდენტთა გაცვლის შესახებ შეთანხმებას ხელი მოეწერა 2020-დან ამ შეთანხმების საფუძველზე, ორ უნივერსიტეტს შორის დაინერგა სტუდენტების გაცვლითი პროგრამა, რომლის ფარგლებში, ყოველწლიურად შესაძლებელია 4-4 სტუდენტის გაგზავნა პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლების სრული სემესტრის გასავლელად.

The Hague University of Applied Sciences

ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმსა და სტუდენტთა გაცვლის შესახებ შეთანხმებას ხელი მოეწერა 2018 წლის ოქტომბერში. ზემოთ აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე, ორ უნივერსიტეტს შორის დაინერგა სტუდენტების გაცვლითი პროგრამა, რომლის ფარგლებში, ყოველწლიურად შესაძლებელია 2-2 სტუდენტის გაგზავნა პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლების სრული სემესტრის გასავლელად.

Utrecht University of Applied Sciences

HU Utrecht-ის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სწავლებას 17-67 წლის სტუდენტებისა და პროფესიონალებისთვის. იგი ითვლება ერთ ერთ უმძლავრეს გამოყენებით მეცნიერებების უნივერსიტეტად ნიდერლანდებში და მასში ამჟამად სწავლობს დაახლოებით 35000 სტუდენტი, რომლებიც განაწილებულია 22 ლოკაციაზე Utrecht en Amersfoort-ში;

2022-2025 GIPA-სა და HU Utrecht-ის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობა ხორციელდება †Erasmus+”-ის პროგრამის ფარგლებში; (International Credit Mobility: -სტუდენტებისა და ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის გაცვლა);

Budapest Metropolitan University

ბუდაპეშტის მეტროპოლიტან უნივერსიტეტი არის უმაღლესი განათლების აკრედიტირებული კერძო ინსტიტუტი, რომელიც დაარსდა 2000 წელს ქ. ბუდაპეშტში, უნგრეთი.

ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმსა და სტუდენტთა გაცვლის შესახებ შეთანხმებას ხელი მოეწერა 2019 წელს. ზემოთ აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე, ორ უნივერსიტეტს შორის დაინერგა სტუდენტების გაცვლითი პროგრამა, რომლის ფარგლებში, ყოველწლიურად შესაძლებელია 2-2 სტუდენტის გაგზავნა პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლების სრული სემესტრის გასავლელად.

Fontys University of Applied Sciences

ფონტისის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტი არის ჰოლანდიის გამოყენებითი მეცნიერების ერთ ერთი წამყვანი უნივერსიტეტი, სადაც 44000-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს ნიდერლანდების სამხრეთით მდებარე რამდენიმე კამპუსში. Fontys– ის სამი უდიდესი კამპუსი მდებარეობს ეინდჰოვენში, ტილბურგსა და ვენლოში.

ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმსა და სტუდენტთა გაცვლის შესახებ შეთანხმებას ხელი მოეწერა 2020 წლის ოქტომბერში. ზემოთ აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე, ორ უნივერსიტეტს შორის დაინერგა სტუდენტების გაცვლითი პროგრამა, რომლის ფარგლებში, ყოველწლიურად შესაძლებელია 2-2 სტუდენტის გაგზავნა პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლების სრული სემესტრის გასავლელად.

ჩვენი პარტნიორები

WINDFORS,S

WINDFOR,S Communication საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი სარეკლამო სააგენტოა. ის კლიენტს სთავაზობს მომსახურების სრულ სერვისს. ექსკლუზიურად საქართველოში, ის წარმოადგენს დიდ ჰოლდინგს, რომელიც ფოკუსირებულია მაღალ ხარისხიანი და მარვალფეროვანი სარეკლამო სერვისების შექმნაზე, იმისთვის, რომ შექმნან მიზანმიმართული კრეატივი.

JWT METRO

მეტრო 2006 წელს დაარსდა, როგორც პატარა დამოუკიდებელი სააგენტო. 2012 წელს მეტრომ მიიღო ცნობილი გლობალური ქსელის JWT-ს აფილაცია და მისი სახელი გახდა JWT Metro. 17 წლის განმავლობაში მეტრომ შექმნა მრავალი მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო პროექტი მათ შორის საყოველთაო სექრეტ სანტას პროექტი, საქართველოს ანბანის ვიდეო რგოლი ფრანკ ფურტის წიგნის ბაზრობისთვის ა.შ. მისი აქტიური პარტნორია და კლიენტია საქართველოს ბანკი.

LEAVINGSTONE

LEAVINGSTONE არის ციფრული ცრეატიული სააგენტო, სადაც ერთ სივრცეში ერთიანდებიან 100+ საინტერესო კრეატიული ადამიანი სხვადასხვა გუნდიდან: კრეატივი, სტრატეგია, ციფრული პროდაქშენი, ვებ/მობაილ დიზაინი, ცინტენტი, ანიმაცია და სხვა. ისინი ფლობენ 150+ საერთაშორისო ჯილდოს როგორებიცაა: cannes Lions, Webby, Eurobest, London International Awards, ADC*Europe და სხვა.

BETTERFLY

”BetterFly„ არის სარეკლამო სააგენტო რომელიც ქმინს სამიზნე აუდიტორიაზე მორგებულ და კომლექსურ კამპანიებს. ის ეხმარება კლიენტს შექმნას ეფექტუური სარეკლამო კამპანიები. დროთა გამნალობაში, კომპანიამ დაიწყო საკონსულტაციო სერვისები მნიშვნელოვან კომპანიებთან, როგორებიცაა: EFES Georgia, GeoCel,IDS Borjomi, SilkNet, Schwarzkopf,Henkel,Samsung and ect.

ABK

.ABK არის გამოცდილი საკომუნიკაციო სააგენტო, რომელსაც აქვს მრავალი ჯილდო ადგილობრივ და საერთაშორისო სარეკლამო ფესტივალებზე. ისინი ამოძრავებენ კრეატიულობას და სთავაზობენ მორგებულ სარეკლამო მომსახურებას ქართულ და საერთაშორისო ბაზრებზე.
ABK-მ თავისი არსებობის 25 წლის განმავლობაში მოიპოვა მრავალი ჯილდო სხვადასხვა საერთაშორისო სარეკლამო ფესტივალზე.

REDBERRY

Redberry- არის 100+ ჯილდოს მფლობელი, Vue and Laravel- ის პარტნიორი სააგენტო თბილისში. ის მუშაობს ციფრულ პროდუქტებზე, მარკეტინგსა და srat-up-ებზე. მის კლიენტებს შორის არიან, როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო ლიდერი კომპანიები: საქართველოს ბანკი, KFC, Wolt, Zara, Aldagi, M2, Elit Electronics-სი და სხვები.

HOLLY MOTORS

Holy Motors ჰოლისტიკური დიზაინის სააგენტოა და მისი მთავარი მისია დამფუძნებლებთან და ბრენდის მმართველებთან ერთად გამორჩეული ბრენდების 0-დან შექმნაა. სააგენტოს ძირითადი კომპეტენციები მოიცავს ვიზუალურ იდენტობას, ვებ დიზაინსა და დეველოპმენტს, ანიმაციასა და ინტეგრირებულ საკომუნიკაციო კამპანიებს.

POSTRED

POSTRED, აუდიო-პოსტ-პროდუქციის სტუდიაა, ის ქმნის ხმას და მუსიკას ფილმებისთვის, სერიალებისთვის, ასევე ვიდეო თამაშებისა და ინსტალაციებისთვის.
POSTRED-ის პორტფოლიო შედგება ისეთი ფილმებისა თუ სერიალებისგან, როგორებიცაა HBO-ს "IDOL," "EUPHORIA", SONY-ის "FERRARI," "65," "NO HARD FEELINGS," Paramount Pictures-ის "SCREAM 5 and 6", NETFLIX-ის "PAINKILLER" და მრავალი სხვა.

KOLLEKTIV

Kollektiv-ი არის ბრენდინგ და დიზაინ სტუდია. ის კლიენტს თავაზობს მრავალფეროვან მომსახურების სფეროს: Art direction, branding, brand identity, web design, type design, packaging design, wayfinding, graphic design for exhibition ect.
ისინი მუშაობენ მცირე დამწყებ კომპანიებთანაც და საერთაშორისო ბრენდებთანაც. ის არის მრავალი ჯილდოს მფლობელი თუ ნომინანტი: Pentawards, Comm Arts, World Brand Design Society, The Dieline, KIAF, და სხვა.

METRO PRODUCTION

საქართველოში ყველაზე დიდი პროდაქშენ კომპანიაა. ის ბაზარზე 15 წელია, რაც მუშაობს და კლიენტს სთავაზობს მაღალი ხარისხის პროდაქშენ სერვისს, საუკეთესო და გამოცდილი გუნდით და საკუთარი აღჭურვილობით.

FILM ASYLUM

Film Asylum-მი დაარსა ერთი იდეების ქვეშ გაერთიანებულა რეჟისორების ჯგუფმა, იმისთვის, რომ ახალი სიტყვა ეთქვათ ქართულ კინოსა და კომერციულ ინდუსტრიაში. მალევე დაიკავეს ქართული ბაზარი და ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეები გახდნენ კომერციულ და სატელევიზო ინდუსტრიაში. 4 წლის განმალობაში მათ შექმნეს 8 ფილმი და 100 კომერციული პროექტი, რომელიც ძალიან წარმატებული იყო ადგილობრივ და საერთაშორისოზე ფესტივალებზე.

METROGRAPH

სტუდია მეტროგრაფი 2008 წელს დაარსდა, რომელიც მუშაობს გრაფიკული და სარეკლამო მიმართულებით. მრავალწლიანი მოღვაწეობის მანძილზე, მეტროგრაფს არაერთ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტში მიუღია მონაწილეობა, რაც მათ დიდ გამოცდილებას განაპირობებს. გარდა რეკლამებისა და გრაფიკული ვიდეორგოლებისა, სტუდია მეტროგრაფი აწარმოებს ვიზუალურ ეფექტებს(VFX) კინო პროდუქციისთვის.

HIGHWAY VFX

Highway VFX არის ანიმაციისა და ვიზუალური ეფექტების სტუდია, იგი დაარსეს ახალგაზრდა და კრეატიულმა ადამიანებმა რომელთა გამოცდილებაც CGI ინდუსტრიაში 15 წელზე მეტია.

WATERGUNZ

Watergunz არის მრავალ დარგობრივი სარეკლამო სააგენტო, რომელიც სთავაზობს სრული სახის სერვისებს ბრენდებს, რომლებიც დიდ მიზნებს ისახავენ. ისინი ყველა სახის სარეკლამო სოლუშენს სთავაზობენ კლიენტს.

PLAYMAKERS

„პლეიმეიქერსი“ არის მარკეტინგული სააგენტო, რომელიც ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიებს ბრენდინგის, კომუნიკაციის, კონტენტის, დიზაინის და ღონისძიებების მიმართულებით უწევს კონსულტაციას. დიდი იდეების ხელშესახებ პროექტებად ქცევისთვის ჩვენი მთავარი პრინციპი შემოქმედებითობა და გუნდურობაა.

წერილები კურსდამთავრებულებისგან



მიზნები და შედეგები

პროგრამის მიზანი

ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს და გამოუმუშავოს: ფართო ცოდნა ხელოვნებასა და ვიზუალური კომუნიკაციაში (ისტორია, თეორია და კულტურა, როგორც მოვლენათა ერთობლიობა) კრეატიული და კონცეპტუალური აზროვნება პრობლემის ინოვაციური გადაწყვეტილებებისათვის (Design Thinking Tool-kit) ხელოვნების ფორმებისა და ვიზუალური მედიის კომბინირების მეთოდები ინოვაციური იდეების განსახორციელებლად სტრატეგიული აზროვნება და მედიის ფართოდ გააზრება (Every-thing is media) თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების, მეთოდებისა და ხერხების შემოქმედებითად გამოყენების უნარი პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვით დარგობრივი (პროფესონალური) კომპეტენციის ფორმირება და ტრანსფერული უნარები

პროგრამის სწავლის შედეგები: პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევაზე და საკვანძო კომპეტენციების გამომუშავებაზე, რაც წარმოადგენს აუცილებელ, დარგის შესაბამის მრავალფუნქციონალურ პაკეტს და მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულის პიროვნული მიღწევებისა და განვითარებისათვის, ისევე როგორც სოციალური ჩართულობისა და დასაქმებისათვის. ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული:

შედეგი 1: აღწერს ხელოვნებაში მიმდინარე მოვლენათა ჯაჭვს, გამოკვეთს და მიმოიხილავს სოციალურ-კულტურულ და პოლიტიკურ პროცესებს და განარჩევს გამოხატვის ფორმების ეპოქალურ, კულტურულ, ესთეტურ ასპექტებს. განსაზღვრავს ხელოვნების, როგორც დემოკრატიული მედიუმის და საჯარო გამოხატვის ფორმის მნიშვნელობას თავისუფალი, კრეატიული და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაში.

შედეგი 2: აკავშირებს ხელოვნებისა და კომუნიკაციის ფორმებს, ვიზუალურ საკომუნიკაციო სფეროში არსებულ თანამედროვე თეორიებისა და მიმდინარე პროცესების შესაბამისად, აღწერს კონცეფციის ფორმირების და განვითარების ინსტრუმენტთა ნაკრებს, აზროვნების დიზაინის არაწრფივი პროცესის ფაზებს, როგორიცაა პრობლემის აღმოჩენა, გამოკვლევა, მატერიალიზება. გამოკვეთს ამ სფეროს კომპლექსურ საკითხებს.

შედეგი 3: გამოკვეთს და განარჩევს ხელოვნების ფორმებს (ფოტოგრაფია, ტიპოგრაფია, ილუსტრაცია, გრაფიკული და ციფრული დიზაინი, ვიდეო, ციფრული/ინტერაქტიული კონტენტი, ვიზუალური თხრობის ფორმები) და იმპლემენტაციის მეთოდებს, როგორც ტექნიკურ-ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებს (მედიები, კომპიუტერული პროგრამები და ტექნოლოგიები).

შედეგი 4: განიხილავს სარეკლამო/საკომუნიკაციო კრეატიულ ინდუსტრიაში მიმდინარე პროცესებს, ხელოვნების ფორმების, მედია არხებისა და ტექნოლოგიების კომბინირებას ექსპერიმენტული ვიზუალური საკომუნიკაციო პროექტებისათვის და თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად აყალიბებს ინოვაციურ მულტიმედიურ მიდგომებს. უნარი

შედეგი 5: კონცეფციის ვიზუალური ფორმების შემუშავების პროცესში, კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ეფექტურად არჩევს მედია არხებსა და ციფრულ ტექნოლოგიებს, იღებს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს და ქმნის მულტიპლატფორმულ რელევანტურ შემოქმედებით საკომუნიკაციო კონტენტს (საკომუნიკაციო დიზაინი და სტრატეგია, კამპანიები) სამიზნე ჯგუფის შესაბამისად.

შედეგი 6: აგროვებს ინფორმაციას და ატარებს თემატურ მოკვლევას, აიდენტიფიცირებს პრობლემას, განსაზღვრავს ამოცანებს, ქმნის საკუთარ სტრატეგიულ კონცეფციას, იღებს კრეატიულ გადაწყვეტილებებს, გეგმავს შემოქმედებით პროექტს, გამოხატავს მას სხვადასხვა ხერხით. მკაფიოდ და ნათლად გადმოსცემს საკუთარ იდეას ეფექტური ვერბალური და ვიზუალური პრეზენტაციით.

შედეგი 7: ეფექტურად მუშაობს ინდივიდუალურად და გუნდურად, პროფესიულ საქმიანობას წარმართავს ეთიკურად, როგორც ლიდერის (Art Director), ისე გუნდის წევრის პერსპექტივიდან, ასრულებს და გასცემს სხვადასხვა სირთულის დავალებას, აანალიზებს სხვის მოსაზრებებს და ლოგიკურად აყალიბებს საკუთარ სტრატეგიულ შემოქმედებით ხედვას.

შედეგი 8: ქმნის შემოქმედებით პორტფოლიოს, აქვს მისი შემდგომში განვითარების და წარდგენის უნარი, იყენებს არსებულ პლატფორმებს საკუთარი თავის საჯარო პრეზენტაციისთვის და ქმნის საკუთარ პლატფორმას.

შედეგი 9: ახდენს სწავლის პროცესში მიღებული თეორიული, ტექნიკური და პრაქტიკული გამოცდილების ინტეგრირებას (სწავლის პროცესში განხორციელებული რეალური პროექტები, სტაჟირების და პერსონალური პროექტის განხორციელების პერიოდი) ინოვაციური გადაწყვეტის გზების, ტექნიკების და ვიზუალური ფორმების საძიებლად, შემოქმედებითი იდეების განვითარებისა და განხორციელებისათვის. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული:

შედეგი 10: პროფესიული ეთიკის მოთხოვნებისა და პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით წარმართავს პროფესიულ საქმიანობას და დაინტერესებულ მხარეებთან სხვადასხვა ფორმისა და მეთოდის გამოყენებით ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას. საკუთარი პროფესიონალიზმით, ორგანიზებულობით, მოტივაციით წვლილი შეაქვს სარეკლამო, კრეატიული საკომუნიკაციო ინდუსტრიის განვითარებაში.

შედეგი 11: აღიარებს და პატივს სცემს პროფესიის როლსა და მნიშვნელობას, შემდგომში პროფესიული განვითარებისთვის განსაზღვრავს და გეგმავს ინდივიდუალური განათლების საჭიროებას.